თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 8

ქ. თერჯოლა 05.07.2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. გოჩა ვერულაშვილი, 4. გრიგოლ გიორგაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. მანუჩარ ფანჩულიძე, 7. როლანდი მესხი, 8. ფრიდონ გვენეტაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. რამინი რობაქიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კობა კირკიტაძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 10 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282218590, 04.07.2022 წ.).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია ბიუჯეტის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 654.5 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 25792.8 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 654.5 ათასი ლარით (გრანტი).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 300.0 ათასი ლარით. გზების კაპიტალური ხარჯი შემცირდა 200.0 ათასი ლარით და კეთილმოწყობის კაპიტალური ხარჯი შემცირდა 100.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 954.5 ათასი ლარით. გზების კეთილმოწყობა გაიზარდა 300.0 ათასი ლარით (ინერტული მასალის შეტანა, ტრანსპორტის დაქირავება) სხვა ხარჯი. საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება გაიზარდა 654.5 ათასი ლარით, რომლითაც დაფინანსდება მოსწავლეთა ტრანსპორტირება

550.0 ათასი ლარით და ინფრასტრუქტურის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები 104.5 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: გოჩა ვერულაშვილმა, გრიგოლ გიორგაძემ, გიორგი ბარათაშვილმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი